

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №116**

2021 წ. 2 ივლისი.

ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

(იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისებთან გაერთიანებული)

მოწვეული სტუმრები:

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ირაკლი თავართქილაძე, მარიამ კვერნაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან დარახველიძე, ვაჟა ოთარაშვილი, ვახტანგ მაქარიშვილი, ბორია ფირცხელიანი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დღის წესრიგის პირველ და მეორე საკითხს განიხილავს ყველა კომისია, ხოლო დანარჩენი საკითხების განხილვას განაგრძობს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიები.

დღის წესრიგი:

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის N1 და N2 ოქმების საფუძველზე გაცემულ ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების N000001 და N000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ (12-0321179142-03 2806.2021წ)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების თაობაზე. (12-0321179141-03 28,06,2021წ)
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა, ბოტანიკის ინსტიტუტის მოპირდაპირედ მდებარე 884 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.01.009.068) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(12-03211683-03 17,06,2021წ)
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ - გიორგი ქოჩიაშვილს (პ/ნ:12001025934) შორის 2019 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ Nე-484-6-23873 და Nე-484-7-23874 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების თაობაზე.(12-032116956-03)

5. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი, N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “(12-03211682-03 16,06,2021წ)
6. „ქალაქ თბილისში, ფერდობი შალვა ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი 55-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (12-03211682-03 17,06,2021წ)
7. ქალაქ თბილისში, ვაგზლის ქუჩა (სადგურის) N78-ში (საკადასტრო კოდი: 01.18.13.030.002.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (12-032117255-03 21,06,2021წ)
8. ქალაქ თბილისში, ავჭალის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N72.12.01.216.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “(12-032117255-03 21,06,2021წ)
9. ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-8 მიკრორაიონის კორპუს N11-ში (საკადასტრო კოდი: 01.11.10.002.005.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “(12-032117255-03 21,06,2021წ)
10. ქალაქ თბილისში, ქართლელიშვილის ქუჩა (ყოფილი კამალოვი) N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.013.074) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “(12-032117964-03 28,06,2021წ)
11. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი N1, N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.039.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ (12-032117966-03 28,06,2021წ)
12. ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1-სა და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (12-032117964-03 28,06,2021წ)
13. ქალაქ თბილისში, ნაკადულის მე-6 გასასვლელ N33-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.33.005.014.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “. (12-032117964-03 28,06,2021წ)
14. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ლადო გუდიაშვილის ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.101.079) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ (12-032117966-03 28,06,2021წ)
15. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ნუცუბიძე N181ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.224.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “(12-032117966-03 28,06,2021წ)
16. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N102-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.067) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “(12-032117966-03 28,06,2021წ)
17. ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.14.003.201) 73 კვ.მ მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იბერკომპანისთვის“ (ს/კ: 231963818) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (12-032116955-03 18,06,2021წ)
18. ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 27 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ზზიპ კაფესთვის“ (ს/კ: 404604610) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.(12-032116955-03 18,06,2021წ)

19. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.16.05.032.024) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ამირასთვის“ (ს/ნ: 405451498) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (12-032117636-03 25,06,2021წ)

20. „ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N79-ში, მე-3 კვარტალი, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებული 3509 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.04.013.066) 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლისთვის“ (ს/კ: 404903734) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“(12-032117953-03 28.06.2021წ)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, რომ ვინაიდან დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი და მეორე საკითხები ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, ორივე საკითხის მოსმენა მოხდეს ერთად.

მოისმინეს:

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის N1 და N2 ოქმების საფუძველზე გაცემულ ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების N000001 და N000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ 2009 წლის 3 აპრილის „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ ოქმების N1 და N2-ის თანახმად, შპს „აუთდორ ჯის“ (ს/ნ: 205255917) გადაეცა ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა (N000001) ხოლო, შპს „სმოდ ედვერთაისინგი“ (ს/კ 404885512), გადაეცა ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა (N000002), რომელთა მოქმედების ვადაც იწურება 2021 წლის 3 აპრილს.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის N1 და N2 ოქმების საფუძველზე გაცემულ ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების N000001 და N000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2021 წლის 31 მარტის №21.418.473 და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2021 წლის 2 აპრილის №114 განკარგულების საფუძველზე, ნებართვის მფლობელებთან 2021 წლის 2 აპრილს დადებული შეთანხმებების საფუძველზე, №1-№2 ნებართვების მოქმედების ვადა გაგრძელდა 2021 წლის 30 ივნისამდე.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განაცხადა, მიმდინარე ეტაპზე არსებული გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ვადის გასვლის შემდეგ, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის მიზნით, განიხილება თბილისის ტერიტორიაზე, ელექტრონული აუქციონის გამოცხადების საკითხი, მუნიციპალიტეტის მთავრობასა და საკრებულოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

ასევე აღინიშნა, რომ შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე, დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) მიერ გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შესახებ აუქციონის საწყისი ფასის დადგენას, აუქციონის პირობების შემუშავებასა და აუქციონის გამოცხადებას, გამარჯვებული პირების გამოვლენასა და ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას ესაჭიროება გონივრული ვადები. აღნიშნულის გათვალისწინებით, აუქციონის საფუძველზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ახალი მფლობელის ან მფლობელების გამოვლენის სავარაუდო თარიღია არაუადრეს 2021 წლის პირველი სექტემბერი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუქციონის საფუძველზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ახალი მფლობელის ან მფლობელების გამოვლენამდე, მიზანშეწონილია გაგრძელდეს არსებული ნებართვების ვადა, რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ქალაქ თბილისში გარე რეკლამის განთავსებით დაინტერესებული ფიზიკური თუ იურიდიული პირებისთვის შესაბამისი მომსახურებას გაწევას, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ გარე რეკლამების განთავსების ნებართვით გათვალისწინებული საქმიანობიდან შემოსავლის მიღებას.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ 2009 წლის 3 აპრილს გაცემული ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვებში (სანებართვო მოწმობები) N000001-ში და N000002-ში მითითებული: „ნებართვის მოქმედების ვადა 2009 წლის 3 აპრილი-დან 2021 წლის 3 აპრილი-მდე“ შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ნებართვის მოქმედების ვადა 2009 წლის 3 აპრილიდან 2021 წლის პირველ სექტემბრამდე“. ხოლო, ამავე სანებართვო მოწმობებზე თანდართულ სანებართვო პირობებში წინადადება „გარე რეკლამის განთავსების ნებართვა ნებართვის მფლობელზე გაიცემა 12 წლის ვადით.“ შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „გარე რეკლამის განთავსების ნებართვა ნებართვის მფლობელზე გაიცემა 2009 წლის 3 აპრილიდან 2021 წლის პირველ სექტემბრამდე.“

ასევე ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ელექტრონული აუქციონების გამოცხადების მიზნით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ წერილობითი ფორმით სთხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული აუქციონის ლოტების საწყისი საბაზრო ღირებულებების დადგენა ნებართვის მოქმედების 10 და 15 წლიანი ვადების შემთხვევებში, კერძოდ:

- 1 ლოტად - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
- 2 ლოტად - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მდ. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების შესაბამისად;
- 10 ლოტად - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული რაიონების შესაბამისად;

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 22 ივნისის №004342121 საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, დადგენილ იქნა ლოტების საწყისი საბაზრო ღირებულებები.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განიხილება შესაბამის ნორმატიულ აქტ(ებ)ში ცვლილებების პაკეტის მომზადება, იმ მიზნით, რომ ზემოაღნიშნული აუქციონით გათვალისწინებულ გარე რეკლამის განთავსების ადგილებზე (კერძოდ, აუქციონის პირობების დანართი N1 და N3-ში მითითებულ ობიექტებზე) არ გავრცელდეს შესაბამისი I კლასის შენობა-ნაგებობების მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი მშენებლობის შეტყობინებას წესი და მოთხოვნები, ვინაიდან, დღეის მდგომარეობით აღნიშნული ობიექტები/ლოკაციები განთავსებულია/აღმართულია, ხოლო კანონმდებლობით მოთხოვნილი მშენებლობის შეტყობინების წესის დაცვა, მათ შორის, 1 წელიწადში ერთხელ შეტყობინების განახლება, დამატებით დროსა და რესურსს მოითხოვს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი თანხების დაანგარიშება ეთხოვა როგორც არსებული ნორმატიული რეგულირების პირობებში, ასევე, იმ დაშვებით, რომ განხორციელდება ზემოხსენებული ნორმატიული ცვლილებები. საექსპერტო დასკვნის მიხედვით, აღნიშნულმა გარემოებამ გავლენა იქონია საწყისი საბაზრო ღირებულების ოდენობაზე .

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ვინაიდან, საექსპერტო დასკვნის საფუძველზე დადგენილი აუქციონის შესაძლო საწყისი საბაზრო ღირებულებებიდან ყველაზე მაღალი ოდენობა დაფიქსირდა ნებართვის 15 წლის ვადით, 1 ლოტად, ზემოხსენებული ნორმატიული ცვლილებების განხორციელების დაშვებით განკარგვის შემთხვევაში, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიზანს წარმოადგენს აუქციონით პირთა ფართო წრის დაინტერესება და მაღალი კონკურენციისა და სამართლიან პირობებში აუქციონის ჩატარების უზრუნველყოფა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, აუქციონზე განკარგულ იქნას გარე რეკლამის ნებართვები 2 ლოტად, 15 წლის ვადით (მდ. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების შესაბამისად), თუმცა საწყის საბაზრო ღირებულებად განისაზღვროს ექსპერტიზის დასკვნით 1 ლოტად, 15 წლის ვადით ნებართვის განკარგვის შემთხვევაში დადგენილი ჯამური საფასური (31 584 669 ლარი), შესაბამისი ლოტების საწყისი საბაზრო ღირებულებების პროპორციულად. კერძოდ, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე ნებართვის განკარგვის ფასი, ნაცვლად 19 481 154 ლარისა, განისაზღვრება 20 506 478 ლარით, ხოლო მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე ნებართვის განკარგვის ფასი, ნაცვლად, 10 524 276 ლარისა, განისაზღვრება 11 078 188 ლარით. შესაბამისად, აღნიშნულით უზრუნველყოფილ იქნება ნებართვის განკარგვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის მაქსიმალურად ოპტიმალური პირობებით და ამასთან, აუქციონის სამართლიან და კონკურენტულ პირობებში გამართვა.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2021 წლის 23 ივნისის №21.866.983 განკარგულებაზე თანდართული აუქციონის პირობების შესაბამისად, გარე რეკლამის ნებართვის განკარგვის ძირითადი პირობები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- აუქციონი ითვალისწინებს გამარჯვებული პირებისათვის ნებართვის გადაცემას 15 წლის ვადით, 2 ლოტად - მდ. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების შესაბამისად, შესაბამისი ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მდებარე, შესაბამის დანართებში მოცემულ ადგილებზე, ამავე დანართებით განსაზღვრული პარამეტრების გარე რეკლამების განთავსების მიზნით .
- აუქციონის სრული საფასური გადახდილ უნდა იქნას ერთჯერადი, წინასწარი გადახდის გზით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში აქვე ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ გარე რეკლამის განთავსების ნებართვის დღეს მოქმედი პირობების შესაბამისად, ნებართვის მფლობელები საფასურს იხდიან 3 თვეში ერთხელ, შემოსავლის 15%-ის ოდენობით, ხოლო, იმ შემთხვევაში თუ არ ფიქსირდება შემოსავალი - 6 ლარს 1 კვ.მ-ზე.
- გარდა არსებული ობიექტებისა, გამარჯვებული პირი უფლებამოსილია ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე განათავსოს გარე რეკლამის მცირე საშუალებები , ერთდროულად (დროის იდენტურ მონაკვეთში) არაუმეტეს მარჯვენა სანაპიროზე არაუმეტეს 470 ერთეულისა, ხოლო მარცხენა სანაპიროზე - არაუმეტეს 360 ერთეულისა. გარე რეკლამის მცირე საშუალებად მიიჩნევა ღია სივრცეებში (მაგალითად, მიწის ნაკვეთზე, გარე განათების ბოძებზე ან/და სხვა კონსტრუქციებზე/ნაგებობებზე) განთავსებული სარეკლამო დანიშნულების მანიშნებლები, რომელიც მიანიშნებს ამა თუ იმ კონკრეტული კომერციული ობიექტის მდებარეობის/ მიმართულების/ საქმიანობის შესახებ და ა.შ.), აგრეთვე, კონკრეტული ბიზნეს-სუბიექტის საქმიანობის რეკლამირების მიზნით, ამ ბიზნეს-სუბიექტის მიმდებარედ განთავსებული, არასტანდარტული, ერთჯერადი სარეკლამო კონსტრუქცია. მცირე საშუალებები განკუთვნილი არ არის მისი მრავალჯერადი გამოყენებისათვის.
- იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებულ პირს სურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების საფუძველზე, ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მოიპოვოს გარე რეკლამის განთავსების უფლება არსებული ობიექტებისგან განსხვავებულ (დამატებით) ადგილებზე ან/და მეტ ფართობზე, ასევე, მცირე საშუალებების აუქციონი პირობებით განსაზღვრულზე მეტ რაოდენობაზე , ახალი ობიექტის განთავსების ნებართვის მოპოვების სანაცვლოდ, მან მუნიციპალიტეტს უნდა გადაუხადოს ამგვარი ცვლილებით გამოწვეული გაუმჯობესების შესაბამისი საბაზრო ღირებულება, რომელიც დგინდება სსიპ -

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული სხვა აუდიტორული კომპანიის დასკვნის საფუძველზე. დასკვნა მომზადებულ უნდა იქნას გამარჯვებული პირის დაკვეთითა და ხარჯებით. ნებართვის გამცემი/სააგენტო არცერთ შემთხვევაში არ არის ვალდებული, დააკმაყოფილოს გამარჯვებული პირის მიმართვა ახალი ობიექტის განთავსების თაობაზე და იგი უფლებამოსილია, საკითხი გადაწყვიტოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საკუთარი შეხედულებისამებრ.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი (მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირ(ებ)ი) უფლებამოსილია ლოტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე, პირობების დანართი N3-ში მითითებულ ობიექტებზე და ასევე, სხვა ნებისმიერ ადგილზე, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეუზღუდავად განათავსოს ნებისმიერი სახის სარეკლამო ინფრასტრუქტურა და გაავრცელოს მასზე ისეთი სახის რეკლამა, რომელიც ემსახურება საზოგადოების (მისი ნაწილის) ინფორმირებას მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხზე. გამარჯვებული პირი ვალდებულია, ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში მუდმივად უზრუნველყოს პირობების დანართი N3-ში მითითებულ ადგილებზე ამავე დანართში მოცემული პარამეტრების სარეკლამო ინფრასტრუქტურის განთავსება, ასევე, მათი მოვლა-პატრონობა, რემონტი/განახლება (საჭიროებისამებრ), მათი თავისუფალ მდგომარეობაში შენარჩუნება და მათზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირ(ებ)ი) მიერ მიწოდებული გარე რეკლამის გავრცელება და ამ მიზნით, სხვა შესაბამისი სამუშაოების გაწევა/დონისძიებების განხორციელება, საკუთარი ხარჯებით.
- აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ აუქციონის სრული საფასურის გადახდის უზრუნველსაყოფად გადასახდელი ბეს/სანაკო გარანტიის ოდენობა შეადგენს საწყისი საფასურის 10%-ს (მარჯვენა სანაპიროს შემთხვევაში - 2 050 650 ლარი; მარცხენა სანაპიროს შემთხვევაში - 1 107 820 ლარი);
- აუქციონში მინიმალური ბიჯი შეადგენს საწყისი საფასურის 5 %-ს (მარჯვენა სანაპიროს შემთხვევაში - 1 025 325 ლარი; მარცხენა სანაპიროს შემთხვევაში - 553 910 ლარი);
- ოქმის გამოცემიდან 15 კალენდარული დღის ვადაში დაიდება აუქციონის პირობებში მითითებული ხელშეკრულება. ხელშეკრულების გაფორმების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ნებართვის გამცემის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, არაუმეტეს დამატებით 15 კალენდარული დღით.
- აუქციონის სრული საფასურის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია, გამარჯვებულ პირს დამატებით განუსაზღვროს გონივრული ვადა, არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა, დარღვევის გამოსასწორებლად და დააკისროს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- აუქციონის სრული საფასურის (ასევე, დაკისრებული პირგასამტეხლოს, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელშეკრულებით დადგენილ ან/და ნებართვის გამცემის მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში გადახდის დღიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში (მაგრამ, არაუადრეს 2021 წლის პირველი სექტემბრისა) გაიცემა სანებართვო მოწმობა.

დასასრულს ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2021 წლის 23 ივნისის №21.866.983 განკარგულებაზე თანდართული აუქციონის პირობები სრულად შესაბამეა მოქმედ კანონმდებლობას, არსებითად აუმჯობესებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გარე რეკლამის განთავსების ნებართვის განკარგვის პირობებს (მათ შორის, ნებართვის საფასურის ნაწილში), დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოფს სამართლიანი და კონკურენტული გარემოს შექმნას.

მომხრე- 6, წინააღმდეგი-2 (ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი)

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხების: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის N1 და N2 ოქმების საფუძველზე გაცემულ ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების N000001 და N000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ და

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების თაობაზე, საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა, ბოტანიკის ინსტიტუტის მოპირდაპირედ მდებარე 884 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.01.009.068) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ მოქალაქე თენგიზ ჩუბინიძემ განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N24-ის მიმდებარედ, 1021 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.02.005.027) გაცვლის ფორმით პრივატიზება, ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა, ბოტანიკის ინსტიტუტის მოპირდაპირედ მდებარე 884 კვ.მ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 01.13.01.009.068). განმცხადებელი განმარტავს, რომ მან უარი მიიღო მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.14.11.057.100) მშენებლობის უფლების მოპოვებაზე და შესაბამისად ვერ ახერხებს მისი საკუთრებით სარგებლობას. როგორც არქიტექტურის სამსახური აღნიშნავს მოქალაქის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს მაღალი გეოლოგიური საფლტის ზონაში, ხოლო პროექტირებითგათვალისწინებულია ფერდობის მოჭრა, რაც კიდევ უფრო მეტად შეუქმნის საფრთხეს როგორც საპროექტო, ასევე მიმდებარე ტერიტორიას. გარდა ამისა საპროექტო ტერიტორიას არ გააჩნია სამანქანო მისასვლელი გზა, რაც აუცილებელი პირობაა. ასევე აღნიშნავენ რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი უზრინველყოფილი უნდა იქნას სარეკრეაციო სივრცით. წარმოდგენილი პროექტით მიწის ნაკვეთის განვიტარება არ შეესაბამება საზოგადოებრივ ინტერესს.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 16 ივნისის N21.808.926 განკარგულებით წარმოდგენილია ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა, ბოტანიკის ინსტიტუტის მოპირდაპირედ მდებარე 884 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.01.009.068) გაცვლის ფორმით პრივატიზება, თენგიზ ჩუბინიძის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N24-ის მიმდებარედ, 1021 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.02.005.027) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ. პრივატიზების საგნის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 649,000 ლარი. საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა 01.14.15.003.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობების, ღობეების, ნანგრევების დემონტაჟი და აღნიშნული საკადასტრო ერთეულის მოსწორებულ, გასუფთავებულ მდგომარეობაში მოყვანა, ხელშეკრულების დადებიდან 3 თვის ვადაში.

მომხრე- 6. წინააღმდეგი-2 (ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი)

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ - გიორგი ქოჩიაშვილს (პ/ნ:12001025934) შორის 2019 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული

„პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ Nე-484-6-23873 და Nე-484-7-23874 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების თაობაზე.

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ Nე-484-6-23873 და Nე-484-7-23874 ხელშეკრულებების თანახმად, გიორგი ქოჩიაშვილს (პ/ნ: 12001025934) საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე 117 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 81.21.06.818) და 118 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 81.21.06.820) შეზღუდვით - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე; მოთხოვნის შემთხვევაში 81.21.06.807 და 81.21.06.806 საკადასტრო ერთეულებთან მისასვლელის უზრუნველყოფით“.

როგორც ბატონმა ირაკლიმ განმარტა, დღეის მდგომარეობით N81.21.06.818 საკადასტრო ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთი გაერთიანებულია N81.21.06.806 საკადასტრო ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთთან, რომელთა გაერთიანების საფუძველზეც წარმოქმნილია ახალი, N81.21.06.880 საკადასტრო ერთეული, ხოლო N81.21.06.820 საკადასტრო ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთი გაერთიანებულია N81.21.06.808 საკადასტრო ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთთან, რომელთა გაერთიანების საფუძველზეც წარმოქმნილია ახალი, N81.21.06.882 საკადასტრო ერთეული.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნების თანახმად, N81.21.06.818 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 117 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება/საწყისი საპრივატიზებო საფასური 2019 წლის 27 აგვისტოს მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს - 24,102 ლარს, ხოლო N81.21.06.820 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 118 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება/საწყისი საპრივატიზებო საფასური 2019 წლის 27 აგვისტოს მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს - 24,308 ლარს.

აუქციონში გამარჯვებულმა მომართა განცხადებით სააგენტოს და ითხოვა N81.21.06.880 და N81.21.06.882 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე არსებული შეზღუდვების მოხსნა/გაუქმება.

სააგენტომ წერილებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და ითხოვა პოზიცია პრივატიზებულ მიწის ნაკვეთებზე არსებული შეზღუდვების მოხსნის თაობაზე და მათი წერილობითი პოზიციით შესაძლებლად მიაჩნიათ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთებზე არსებული შეზღუდვების მოხსნა.

იქიდან გამომდინარე, რომ ფასთა შორის სხვაობის თაობაზე წარმოდგენილი დასკვნის თანახმად, პრივატიზებულ მიწის ნაკვეთებზე საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობა 0 (ნულია) ლარია, აუქციონში გამარჯვებული სრულად გათავისუფლებულია თანხის გადახდის ვალდებულებისაგან.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, გიორგი ქოჩიაშვილის (პ/ნ: 12001025934) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები (N81.21.06.818 და N81.21.06.820) თავისუფლდება პირობებისაგან/შეზღუდვებისაგან.

აზრი გამოთქვა: ლილე ლიპარტიელიანმა. ის დაინტერესდა, თუ რატომ მიმართა თვითონ დაინტერესებულმა პირმა ექსპერტიზის ეროვნულ ბუროს და არა სსიპ ქონების მარვის სააგენტომ.

ირაკლი თავართქიაძემ განმარტა, რომ ექსპერტიზის ბუროსთან მიმართვის პროცედურა ქონების მართვის სააგენტოს მიერ არის ერთგვაროვანი და სტანდარტული, რაც გულისხმობს არადაჩქარებული წესით მიმართვას, დადგენილი საფასურის 100 ლარის გადახდის სანაცვლოდ. იმ შემთხვევაში თუ დაინტერესებულ პირს სურვილი აქვს მოკლე დროში ექსპერტიზის დასკვნის მიღება, მაშინ ის თვითონ იხდის საფასურს, რასაც ადგილი ქონდა ამ შემთხვევაში.

მომხრე- 6. წინააღმდეგი-2 (ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი)

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი, N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

მომხსენებელი-ირაკლი თავართქიაძე.

ირაკლი თავართქიაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი, N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა 3 ოჯახს (ქეთევან ახობაძეს, სოფიო კაკაჩიას და ნინო გაბისიანს) საერთო ჯამში 41,93 კვმ საცხოვრებელი ფართი. გამგეობის და შსს -ს წერილებით დგინდება, რომ ქეთევან ახობაძე და ნინო გაბისიანი ცხოვრობენ აღნიშნულ მიმსამართზე 1993 წლიდან ხოლო სოფიო კაკაჩია 2006 წლიდან.

მომხრე- 8.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ფერდობი შალვა ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი 55-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

მომხსენებელი - ირაკლი თავართქიაძე

ქალაქ თბილისში, ფერდობი შალვა ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი 55-ში, მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 16 ივნისის #21.919.916 განკარგულების დანართით წარმოდგენილ 8 პირს(ოჯახს) საერთო ჯამში 240,29 კვ.მ საცხოვრებელი ფართი. ეს ოჯახები 1986 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მიმსამართზე. საჯარო რეესტრის მონაცემებით მაგული ჯაოშვილს ჭიათურაში უფიქსირდება 61,40 კვმ, ირინე გურულს რუსთავში 39,19 კვმ, რომელიც მას მიღებული აქვს ნასყიდობის ხელშეკრულებით, ხოლო მზიური პაპიაშვილს თანასაკუთრებაში აქვს სოფ.წილოვანში სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს საკითხთან დაკავშირებით.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვაგზლის ქუჩა (სადგურის) N78-ში (საკადასტრო კოდი: 01.18.13.030.002.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე

კრწანისის რაიონის გამგეობის წერილებით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, ვაგზლის ქუჩა (სადგურის) N78-ში, მეორე სართულზე მდებარე 64.08 კვ.მ ფართის ბინა N10-ის (საკადასტრო კოდი: 01.18.13.030.002.01.010), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ოთარი ყრუაშვილისთვის (პ/ნ 01016007539) საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. შსს ცნობით დგინდება, რომ ოთარი ყრუაშვილი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ნამდვილად ცხოვრობს 1995 წლიდან; ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრება ამხანაგობა „იმედი-1“-ის კრების ოქმით დგინდება, რომ ოთარ ყრუაშვილი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე 25 წელზე მეტია ცხოვრობს;

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ოთარ ყრუაშვილს საკუთრებაში ერიცხებოდა ყვარლის რაიონში, სოფელ სანავარდლოში N57.05.55.267 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2088 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთზე, რომელიც გაასხვისა 2017 წელს.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:ქალაქ თბილისში, ავჭალის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N72.12.01.216.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

გლდანის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, ქალაქ თბილისში, ავჭალის ქუჩა N11-ში, პირველ სართულზე მდებარე 67.55 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: 72.12.01.216.01.513) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნინო გვრიტიშვილს. შსს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გეოლოგების“ კრების ოქმით დასტურდება, რომ ნინო გვრიტიშვილი 2 მცირეწლოვან შვილთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 2010 წლიდან.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-8 მიკრორაიონის კორპუს N11-ში (საკადასტრო კოდი: 01.11.10.002.005.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

გლდანის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-8 მიკრო/რაიონში, კორპუს N11-ში, პირველ სართულზე მდებარე 74.39 კვ.მ ფართი (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.11.10.002.005.01.503), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნათია კიკნაველიძეს.

შსს ცნობითა და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დგინდება, რომ ნათია კიკნაველიძე 2010 წლიდან ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე;

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ქართლელიშვილის ქუჩა (ყოფილი კამალოვი) N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.013.074) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისში, ქართლელიშვილის ქუჩა (ყოფილი კამალოვი) N26-ში, მდებარე 30 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.12.12.013.074) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართობით 28.87 კვ.მ პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე დავით თელიას . შსს ცნობით დგინდება, რომ დავით თელია ოჯახთან ერთად დაახლოებით 13 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ხოლო მოწმეების ჩვენებით და გამგეობის შემოწმების ოქმით - 2007 წლიდან.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა ლილე ლიპარტელიანმა. ის დაინტერესდა თუ რატომ გადავცემთ მოქალაქეს ამ შემთხვევაში პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების გზით უძრავ ქონებას და რატომ არ მივდივართ „ლეგალიზების“ გზით, რაზედაც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ დაინტერესებული პირი ვერ აკმაყოფილებს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში)არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. აღნიშნული ფართი არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და თვითონ მას 2007 წლამდე ეს ფართი არ აუშენებია.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი N1, N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.039.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “.

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ქუჩა მიხეილ ხერგიანი, ჩიხი 1, N3, სართული 1, ბინა N1, 76.53 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.039.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე გიორგი ცაბაძეს , რომელიც 1995 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1-სა და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 23 ივნისის N21.858.960 განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონება, საერთო ჯამში 687,80 კვ.მ მდებარე ქალაქ

თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1-სა და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.026.027) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებით საკუთრებაში გადაეცემა, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირებს. (14 ოჯახი) შსს ცნობითა და გამგეობის წერილებით დასტურდება, რომ ეს ოჯახები ძალიან დიდი ხანია ცხოვრობენ და სარგებლობენ აღნიშნული ფართით.

საკითხთან დაკავშირებით დავით უთმელიძემ აღნიშნა, რომ გამგეობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე არის კითხვის ნიშნები ორ პიროვნებასთან მიმართებაში მათ მიერ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საცხოვრებელი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით, რაზედაც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ თუ სამართალდამცავი უწყებიდან ქონების მართვის სააგენტოს აქვს მოწოდებული კვლევა ცხოვრების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით და წარმოდგენილია ფოტომასალა, სააგენტოს გამოკვლევულად მიაჩნია ფართის საცხოვრებელი დანიშნულებით გამოყენების საკითხი.

მსჯელობის შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნაკადულის მე-6 გასასვლელ N33-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.33.005.014.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “.

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისში, ნაკადულის მე-6 გასასვლელი N33-ში, პირველ სართულზე მდებარე 50.40 კვ.მ ფართის ბინა N1-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.33.005.014.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე რამაზ ჯალალიძვილს., რომელიც შსს-ს ცნობით და მოწმეების ჩვენებით მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 1991 წლიდან.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ლადო გუდიაშვილის ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.101.079) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ლადო გუდიაშვილის ქუჩა N17-ში-ში მდებარე 112 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა N1-ი (საკადასტრო კოდი: N01.20.01.101.079) სართო ფართით 215,48 კვმ პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,) საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნათელა სულაძეს , რომელიც 35 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მიმსამართზე.

საკითხთან დაკავშირებით დავით უთმელიძემ იკითხა: წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ცხოვრების ფაქტთან დაკავშირებით შსს გასაუბრების ოქმში დაფიქსირებულია სხვა მისამართი, ხოლო მოქალაქე მის განცხადებაში აღნიშნავს სხვა მისამართს, ამავე დროს წარმოდგენილ კომუნალური გადასახადის ქვითრებაში აღნიშნულია სხვა მისამართი. ასევე შეკითხვა ქონდა მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ მოხდება მიწის ნაკვეთის გამიჯვნა და მოქალაქეს დაუკანონდება მხოლოდ 112 კვმ მიწის ნაკვეთი, რაზედაც დგას შენობა-ნაგებობა, რაც შეეხება სხვადასხვა მისამართებს ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აღნიშნულ საკადასტრო კოდს სხვადასხვა დროს, ჰქონდა სხვადასხვა მისამართი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულთან დაკავშირებით.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ქუჩა ნუცუბიძე N181ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.224.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისში, ქუჩა ნუცუბიძე N181ა-ში, პირველ სართულზე მდებარე 32.73 კვ.მ ბინა N2-ი (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.224.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე სარკაზ ტამოევს, რომელიც წარმოდგენილი შსს ცნობითა და გამგეობის წერილით დასტურდება რომ 22 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N102-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.067) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N102-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.067) მდებარე უძრავი ქონება საერთო ჯამში 174,59 კვმ საცხოვრებელი ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით საკუთრებაში გადაეცემა 3 ოჯახს, რომლებიც 2004 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.14.003.201) 73 კვ.მ მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იბერკომპანისთვის“ (ს/კ: 231963818) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ შპს „იბერკომპანის“ (ს/კ: 231963818) ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.14.003.201) 73 კვ.მ მიწის ნაკვეთი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. როგორც მომხსენებელმა განმარტა, წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, კომპანიის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37ლ-ში მდებარე უძრავი ქონებას (საკადასტრო კოდი: 01.14.14.003.149.01.03.002).

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. აღნიშნული სამსახურის წერილობითი პოზიციის თანახმად, ღია კაფეს მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მოთხოვნები.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, განიხილება ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.14.003.201) 73 კვ.მ მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „იბერკომპანისთვის“ (ს/კ: 231963818) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი 10 (ათი) წლის ვადით, ხოლო საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება 17 520 (ჩვიდმეტი ათას ხუთას ოცი) ლარი.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 27 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ზუიპ კაფესთვის“ (ს/კ: 404604610) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 27 კვ.მ მიწის ნაკვეთი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა შპს „ზუიპ კაფეს“ (ს/კ: 404604610), ღია კაფეს მოწყობის მიზნით 2023 წლის 15 აგვისტომდე ვადით, წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, კომპანიის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა N3-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.006.01.101).შემდგომი რეკომენდაციით: „განთავსდეს მხოლოდ მაგიდები და სკამები“. საიჯარო ქირის წლიურ საფასური განისაზღვრება 6 480 (ექვსი ათას ოთხას ოთხმოცი) ლარი.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.16.05.032.024) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ამირასთვის“ (ს/ნ: 405451498) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 4061 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.16.05.032.024) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა, შპს „ამირას“ (ს/ნ: 405451498) 2026 წლის 24 მარტამდე ვადით, ღია კაფეს მოსაწყობად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული კომპანია იგივე ვადით იჯარის უფლებით ფლობს მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N22/3-ში არსებულ ფართებს (ს/კ: 01.16.05.032.001.01.511). წლიური საიჯარო ქირის საფასურია - 3960 ლარის ოდენობით.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოხსენიეს: „ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N79-ში, მე-3 კვარტალი, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებული 3509 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.04.013.066) 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლისთვის“ (ს/კ: 404903734) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“.

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N79-ში, მე-3 კვარტალი, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებული 3509 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.04.013.066) 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა, შპს „გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლას“ სახანძრო-საევაკუაციო კიბის მოწყობის მიზნით 15 წლის ვადით, წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, კომპანიის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-3 კვარტალი, N8ა-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: 01.134.04.013.029).

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მოთხოვნილ ტერიტორიაზე სახანძრო-საევაკუაციო კიბის მოწყობის განთავსებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილობითი პოზიციები, რომლის თანახმად, შესაძლებელია ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N79-ში, მე-3 კვარტალი, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებული 3509 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.04.013.066) 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვა სახანძრო-საევაკუაციო კიბის მოწყობის მიზნით. საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება 2 304 ლარი.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე



დავით უთმელიძე